



ნოემბერი
2022

www.democracyresearch.org

საინფორმაციო ბიულეტენი

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)

DRI -ის საქმიანობა ნოემბერში

DRI-ის წინადადებები სასამართლო რეფორმის თაობაზე ევროკავშირის რეკომენდაციების შესასრულებლად

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა საქართველოს პარლამენტს სასამართლო რეფორმის შესახებ რეკომენდაციებით მიმართა.

1. იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევის პროცედურის გაუმჯობესების მიზნით, პარლამენტმა უზრუნველყოს კანდიდატთა საჯარო მოსმენა. არამოსამართლე წევრის არჩევა მოხდეს ღია კენჭისყრით, პლენარულ სხდომაზე საკითხის განხილვის შემდეგ.
2. იუსტიციის საბჭოში არსებითი გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მინიმალურ ვოტრუმად განისაზღვროს მოსამართლე და არამოსამართლე წევრების 2/3.
3. იუსტიციის საბჭოში არ უნდა იყვნენ მოსამართლეები, რომლებსაც უკავიათ სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობას.
4. იუსტიციის საბჭოს წევრების განმეორებითი არჩევა უნდა შეიზღუდოს.
5. მოსამართლის მივლინების კონკრეტული საფუძვლები უნდა განისაზღვროს კანონით. აღდგეს მოსამართლის მივლინების 2021 წლის დეკემბრის ცვლილებამდე არსებული მდგომარეობა.
6. საპარლამენტო ფორმატში შეფასდეს სასამართლო რეფორმის ოთხი ტალღის იმპლემენტაცია - პრაქტიკაში რეფორმით მიღებული სიკეთები და არსებული გამოწვევები. შეფასება უნდა დაეფუძნოს არა მხოლოდ მმართველი პარტიის, ასევე სხვა პოლიტიკური ჯგუფების, პროფესიული წრეების თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ დოკუმენტებს და მოსაზრებებს.
7. მართლმსაჯულების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს რეფორმის ოთხი ტალღის შედეგების შეფასების შედეგების გათვალისწინებით.

კორუფციის შესახებ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები არ პასუხებს ევროკავშირის 12 პუნქტიანი გეგმის მოთხოვნებს

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა საქართველოს პარლამენტს ანტიკორუფციული სააგენტოს შესახებ მმართველი პარტიის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ მოსაზრებები წარუდგინა.

საქართველოს პარლამენტში ინიცირებული საკანონმდებლო წინადადებების პაკეტი უნდა პასუხობდეს იმ პრობლემების გადაჭრას, რის მოსაგვარებლადაც აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა.

სამწუხაროდ, საკანონმდებლო ინიციატივა ფორმალურადაც არ ეხება თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების საკითხს, მამხილებელთა დაცვას, პარტიების დაფინანსებისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მონიტორინგისთვის ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერებას, კორუფციასთან ბრძოლაზე პასუხისმგებელი სპეციალიზებული საგამოძიებო, სისხლის სამართლებრივი ან სასამართლო ორგანოს შექმნას და მაღალი დონის კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმას.

დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნის საპირისპიროდ, რომელიც თავს მოუყრიდა ყველა საკვანძო ანტიკორუფციულ ფუნქციას ან/და იქნებოდა კორუფციასთან ბრძოლაზე პასუხისმგებელი სპეციალიზებული საგამოძიებო ინსტიტუტი, ორი მოსმენით მიღებული კანონპროექტი გვთავაზობს სრულიად უფუნქციო ახალი ორგანოს - ანტიკორუფციული ბიუროს შექმნას, რომელიც იმეორებს უკვე არსებული უწყებათაშორის ანტიკორუფციული საბჭოს ფუნქციებს და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრით შემოიფარგლება.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, უკვე არსებული ანტიკორუფციული საბჭოს მსგავსი ფუნქციებით აღჭურვილი ახალი ორგანოს შექმნა გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის არარაციონალურ ხარჯვას.

DRI-ის კოალიციური საქმიანობა

- განცხადება მიხეილ სააკაშვილის შემდგომ მკურნალობასთან დაკავშირებით

DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

DRI-მ პროექტის "ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერული რიტორიკა" ფარგლებში საინფორმაციო მასალა მოამზადა

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

DRI

**სამოქალაქო კოდექსი:
ოჯახში მეუღლეები თანაბარი
უფლებებით სარგებლობენ**

**რას ფიქრობენ ულტრამემარჯვენეები
ოჯახში ქალისა და მამაკაცის
თანასწორობაზე?**

გურამ
ფალავანდიშვილი

**ოჯახის უფროსი
კაცია!**

**ოჯახი = მეუღლეთა
თანასწორობას**

www.democracyresearch.org